№2157 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 40 620 000 (ორმოცი მილიონ ექვსას ოცი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საჯარო სკოლების 2014 წელს იანვრის ვაუჩერების ნაწილობრივი დაფინანსებისათვის;

ბ) 14 000 000 (თოთხმეტი მილიონი) ლარი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და სამინისტროს სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დასაფინანსებლად;

გ) 11 270 000 (თერთმეტი მილიონ ორას სამოცდაათი ათასი) ლარი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად:

გ.ა) 8 000 000 (რვა მილიონი) ლარი - შპს „საქაერონავიგაციის“ კაპიტალის გასაზრდელად, საიდანაც:

გ.ა.ა) 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიიმართოს კოპიტ-ნარის აეროპორტის სამეთვალყურეო კოშკურის მშენებლობასთან დაკავშირე-ბული, კრედიტორის მიმართ არსებული წლიური ვალდებულების დაფარ-ვისათვის;

გ.ა.ბ) 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიიმართოს საერთაშორისო ანტიტერორისტულ საქმიანობაში საჰაერო ხომალდების სხვადასხვა მარშრუტითა და აფრენა-დაფრენის დროს გაწეული სააერნაოსნო მომსახურებით წარმოშობილი დავალიანებისა და 2013 წლის მიმდინარე პერიოდის გადასახდელების დაფინანსებლად;

გ.ბ) 3 070 000 (სამი მილიონ სამოცდაათი ათასი) ლარი - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ კაპიტალის გასაზრდელად, საიდანაც:

გ.ბ.ა) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიიმართოს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის;

გ.ბ.ბ) 1 225 000 (ერთი მილიონ ორას ოცდახუთი ათასი) ლარი მიიმართოს ავიაკომპანია „Wizzair“-ის სარეკლამო მომსახურების შესყიდვისათვის;

გ.ბ.გ) 345 000 (სამას ორმოცდახუთი ათასი) ლარი მიიმართოს „Routes Silk Road Tbilisi 2014“ საერთაშორისო საავიაციო კონფერენციის მასპინძლობა-სთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად;

გ.გ) 200 000 (ორასი ათასი) ლარი - შპს „ანაკლიას“ კაპიტალის გასაზრდე-ლად, შპს „ანაკლიას“ შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მი-ზნით;

დ) 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის საქართველოს მთავარი პროკურატურის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

გამოყოს 31 500 000 (ოცდათერთმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) 16 500 000 (თექვსმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

ა.ა) 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი - შპს „საქართველოს ტელერადიო-ცენტრის“ კაპიტალის გასაზრდელად, ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობა-ზე გადასვლის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიკროტალღუ-რი რადიოსარელეო ხაზის ქსელის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯე-ბის დასაფინანსებლად;

ა.ბ) 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ კაპიტალის გასაზრდელად, ქუთაისის საერთა-შორისო აეროპორტისათვის რენტგენული აპარატებისა და სახანძრო მანქანის შეძენასთან, შემოვლითი გზისა და შენობა - ნაგებობების მოწყობასთან (ადმინისტრაციული შენობა/ანგარი, სახანძრო დეპო, მოსასვენებელი შენობა აეროპორტის საბაჟო, საპატრულო და დაცვის პოლიციის თანამშრომლებისთ-ვის) დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად;

ა.გ) 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის გადასაცემად აკადემიის ინ-ფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან და მის სარგებლობაში არსებული საერ-თო საცხოვრებელის სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად;

ა.დ) 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი - შპს „გუდაურის განვითარების სააგენტოს" კაპიტალის გასაზრდელად, როტორიანი თოვლსატკეპნი მანქანის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად;

ბ) 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად:

ბ.ა) 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი - შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კაპიტალის გასაზრდელად, 2014 წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების, აგრეთვე 2013 წელს დადებული

ხელშეკრულებების ფარგლებში ნაგავსაყრელების მოწესრიგებასთან და შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად;

ბ.ბ) 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი - შპს ,,თეთნულდი დეველოპმენ-ტის“ კაპიტალის გასაზრდელად, შპს ,,თეთნულდი დეველოპმენტის“ საოპე-რაციო ხარჯებისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობასთან დაკავში-რებული, აგრეთვე კომპანია ,,Pomagalski“-ს მიერ მოწოდებული საბაგიროების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯე-ბის დასაფინანსებლად.

3. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწი-ნებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი გაზარდოს 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარით და აღნიშნული თანხით შეამციროს „საქარ-თველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**